



მწვავე ვირუსული ჰეპატიტები Acute Viral Hepatitis

გამომწვევი - A, B, C, D, E ჰეპატიტების გამომწვევი ვირუსები

ინფექციის წყარო - დაავადებული ადამიანი (მწვავე/ქრონიკული/სუბკლინიკური ფორმით).

გადაცემის მექანიზმი - A და E ჰეპატიტები - ფეკალურ-ორალური, B, C, D - პარენტერული, კონტაქტური. B ჰეპატიტი-ვერტიკალური.

რისკ-ფაქტორი - A და E ჰეპატიტები - დაბინძურებული საკვები, წყალი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ხელები.

B, C, D ჰეპატიტები - ბიოლოგიური სითხეები, დაბინძურებული სამედიცინო დანიშნულების ინსტრუმენტები, სისხლი და სისხლის პროდუქტები.

იმუნიტეტი - დაავადების შემდგომი, პოსტვაქცინალური.

ინკუბაციური პერიოდი - ჰეპატიტი C -60-180 დღე. ჰეპატიტი B - 30-180 დღე(საშუალოდ 75). ჰეპატიტი A- 15-50 (საშუალოდ 28-30)დღე.

გადამდებლობა:

- A და E ჰეპატიტები პროდრომული პერიოდის განმავლობაში და გამოვლენიდან 1-2 დღე;
- B და C ჰეპატიტი - დაავადების მთელი პერიოდის განმავლობაში (მწვავე/ქრონიკული).

ლაბორატორიული დადასტურების კრიტერიუმი:

შემთხვევა, რომელიც შეესაბამება დაავადების კლინიკურ ნიშნებს და

- ჰეპატიტი A – IgM ანტისხეული დადებითია ჰეპატიტი A-ს ანტიგენზე (ანტი-HAV);
- ჰეპატიტი B – IgM ანტისხეული დადებითია ჰეპატიტი B-ს ბირთვულ ანტიგენზე(ანტი-HBc);
- ჰეპატიტი C - IgM ანტისხეული დადებითია ჰეპატიტი C-ს ანტიგენზე (ანტი-HCV);
- ჰეპატიტი D (მხოლოდ როგორც ჰეპატიტი -ს თანმხლები ან სუპერ-ინფექცია):

1. ანტი-HDV დადებითია და HBsAg დადებითია;

2. ანტი- HDV დადებითია და IgM ანტი-HBc დადებითია.



- ჰეპატიტი E- IgM ანტისხეული ჰეპატიტ E-ს ანტიგენზე (IgM anti-HEV) დადებითია.

ეპიდემიოლოგიური დადასტურების კრიტერიუმი/ეპიდკავშირი:

- ჰეპატიტი A - შემთხვევა, რომელიც შეესაბამება დაავადების კლინიკურ ნიშნებს და აქვს ეპიდ. კავშირი ჰეპატიტი A-ს ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევასთან.
- B, C, D, E ჰეპატიტებს კრიტერიუმი არ შეესაბამება.

ეპიდკავშირი:

- **A ჰეპატიტისთვის** - ახლო კონტაქტი შემთხვევასთან (რომელიც შემდგომ იქნა დადასტურებული) გადამდებ პერიოდში, სიმპტომების გამოვლენამდე 15-50 დღით ადრე.
- B, C, D, E ჰეპატიტებს განმარტება არ შეესაბამება.

ღონისძიებები სტაციონარში ეპიდაფეთქებისას:

სტაციონარში ჰეპატიტების ეპიდაფეთქება ექვემდებარება დაუყოვნებლივ გამომძიებას და სეროლოგიურ დადასტურებას, ანგარიშგებას დადგენილი წესით (სახელობითი/ყოველთვიური ჯამური შეტყობინება).

- A ჰეპატიტისთვის - ინფექციის საერთო წყაროს ელიმინაცია;

წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

ხელის ჰიგიენის წესების განმარტება პაციენტებისთვის/მედპერსონალისთვის.

- B და C ჰეპატიტისთვის - ინფექციის საერთო წყაროს (მედპერსონალი, კონტამინირებული სისხლი და სისხლის პროდუქტები, კონტამინირებული/გაუსტერილებელი მრავალჯერადი მოხმარების სამედიცინო ინვენტარი) ელიმინაცია.

ღონისძიებები კონტაქტში მყოფ პირებთან მიმართებაში:

- B ჰეპატიტისთვის - ჯანმრთელ კონტიგენტში პროფილაქტიკისთვის შესაძლებელია ვაქცინაცია როგორც ექსპოზიციამდე, ისე ექსპოზიციის შემდგომ.

პროფილაქტიკა:

- ჰეპატიტი B - მედპერსონალის ვაქცინაცია;
- უსაფრთხოების სტანდარტული წესების დაცვა;



- მრავალჯერადი სამედიცინო ინვენტარის დეზინფექცია/სტერილიზაცია.

წყარო:

1. http://www.who.int/immunization/monitoring_surveillance/burden/vpd/surveillance_type/passive/hepatitis_standards/en/#
2. <http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=956>
3. ბრძანება #01-02/ნ "სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ"
4. "გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი საქართველოში"-სახელმძღვანელო სამედიცინო პერსონალისთვის 2006წ